საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №67/ნ

2018 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს №675 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს №675 ბრძანებაში (სსმ, 119, 23/08/2007) და ბრძანების:

1. 2^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^1. დამტკიცდეს სენსორული ან/და მძიმე/ღრმა ინტელექტუალური ან/და მრავლობითი დარღვევის მქონე ან მრავლობითი სენსორული დარღვევის მქონე (ყრუ და უსინათლო) ან ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეების რესურსსკოლებში და რესურსსკოლის პანსიონებში ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი №3-ის შესაბამისად.“.

2. 2^1 პუნქტით დამტკიცებული დანართი №3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №3

რესურსსკოლებში და პანსიონური მომსახურების მიღების მიზნით რესურსსკოლის პანსიონებში ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაციას და აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს; ან/და იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართვა, სადაც ირიცხება მოსწავლე.

2. მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, რომელიც მოსწავლის ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში ინახება დაწესებულებაში.

3. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი.

4. ცნობა მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა), კანონიერი წარმომადგენლის მიერ გაკეთებული მიმართვის თარიღიდან არაუმეტეს 3 თვით ადრე.

5. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა კონკრეტულ რესურსსკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის მიზანშეწონილობაზე.

6. სენსორული (სმენითი) დარღვევის მქონე მოსწავლის შემთხვევაში, ამ დანართის პირველი - მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა:

ა) შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის, ფორმა №IV-50/4 ასლი;

ბ) აუდიოგრამა, რომლის მიხედვით ბავშვის ორივე ყურის სმენის ზღურბლი არ უნდა იყოს 61 დბ-ზე დაბალი.

7. სენსორული (მხედველობის) დარღვევის მქონე მოსწავლის შემთხვევაში, ამ დანართის პირველი - მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა:

ა) შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის, ფორმა №IV-50/4 ასლი;

ბ) სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი – ფორმა №IV-50/2, რომლის მიხედვით მხედველობის სიმახვილის მყარი დაქვეითება არის უკეთმხედველ თვალში 0,08-მდე (კორექციით), ან მხედველობის ველის კონცენტრული შევიწროვება უკეთმხედველ თვალში 150-მდე, ფიქსაციის წერტილიდან ყველა მიმართულებით.

8. ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლის შემთხვევაში, ამ დანართის პირველი - მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა:

ა) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის, ფორმა №IV-50/4 ასლი;

ბ) სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი – ფორმა №IV-50/2, რომელშიც მითითებულია სამედიცინო დიაგნოზი.

9. მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შემთხვევაში, იმ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ იმ სახის განათლების მიღებას, რომელიც წინ უძღვის ჩასარიცხი კლასის განათლებას. პირი თავისუფლდება ამ პუნქტით გათვალისწინებული ცნობის ან დოკუმენტის წარმოდგენისაგან „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად რესურსსკოლებში ჩარიცხვის შემთხვევაში.

10. პანსიონური მომსახურების მიღების მიზნით რესურსსკოლის პანსიონებში ჩაირიცხება მოსწავლე, რომლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ მდებარეობს იმ ქალაქში/მუნიციპალიტეტში, სადაც მდებარეობს რესურსსკოლა. პანსიონური მომსახურების მიღების მიზნით რესურსსკოლის პანსიონში ჩარიცხვისთვის მოსწავლის კანონიერმა წარმომადგენელმა რესურსსკოლის ადმინისტრაციას უნდა წარუდგინოს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია, რაც უნდა დასტურდებოდეს სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გაცემული ცნობით, ან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებული, მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრის მონაცემებით.“.

მუხლი 2

ამ ბრძანების ამოქმედებამდე პანსიონური მომსახურების მიღების მიზნით რესურსსკოლის პანსიონებში ჩარიცხულმა მოსწავლემ 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრის დასრულებამდე რესურსსკოლის ადმინისტრაციას უნდა წარუდგინოს „რესურსსკოლებში და პანსიონური მომსახურების მიღების მიზნით სპეციალიზებულ რესურსსკოლების პანსიონებში ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხის“ (დანართი №3) მე-10 პუნქტით განსაზღვრული მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის წარუდგენლობა იწვევს პანსიონური მომსახურების გაწევის შეწყვეტას.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის მინისტრი **მიხეილ ბატიაშვილი**